

<p>”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19</p>	<p>დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1</p>	<p>ვერსია №1</p>
<p>დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები</p>		<p>ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 1 45</p>
<p>მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე</p>		

**საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა
საზოგადოება (“ბას”)
(ორგანიზაციის დასახელება)**

“ვამტკიცებ”

სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელი
გ.სმალაძე

10 მაისი 2016 წ.

სერტიფიკაციის სქემა №1

საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და
აუდიტორთა საზოგადოება (“ბას”)

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 2 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

“საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა

და აუდიტორთა საზოგადოება” (“ბას”)

სერტიფიკაციის სქემა №1

სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი

მუხლი 1. პრეამბულა (ზოგადი ნაწილი).

1. “ბას“-ის მიზანია: საქართველოში ბუღალტრისა და აუდიტის პროფესიის სტატუსის ამაღლება და განმტკიცება; ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა; ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (IASB) მიერ შემუშავებული ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, პროფესიული ეთიკის ნორმების პრაქტიკაში დანერგვა; ეროვნული პროფესიული ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება და დანერგვა; საზოგადოების წევრთა პროფესიული ინტერესების დაცვა; ბუღალტერთა სერტიფიკაცია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) საფუძველზე.
2. სერტიფიკაციის სქემა შემუშავებულია საქართველოში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტის სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014 “შესაბამისობის შეფასება – ზოგადი მოთხოვნები ორგანოებისადმი, რომლებიც ახორციელებენ პერსონალის სერტიფიკაციას”, საქართველოს კანონის “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ”, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების საერთაშორისო სტანდარტებისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე.

<p>”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №19</p>	<p>დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1</p>	<p>ვერსია №1</p>
<p>დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები</p>		<p>ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 3 45</p>
<p>მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე</p>		

3. სერტიფიკაციაში მონაწილე მხარეთა თანასწორუფლებიანობა და ნებაყოფლობითი ხასიათი გარანტირებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. სერტიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს წინამდებარე სქემის მიხედვით და შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისას, აგრეთვე სხვა შესაფერისი მიზეზით.
5. “ბას“-ი, როგორც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონული ჯგუფის “სერტიფიცირებულ ბუღალტერთა და აუდიტორთა ევრაზიის საბჭოს” (ECCAA) სრულუფლებიანი (ნამდვილი) წევრი, აღიარებს და თავის საქმიანობაში ემყარება მხოლოდ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის მოთხოვნებს, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლებისა (IES) და ხარისხის კონტროლის (ISQC) საერთაშორისო სტანდარტებს და ეთიკის კოდექსს.
6. სერტიფიკაციის წინამდებარე სქემის მიხედვით წარმართვა სავალდებულოა სერტიფიკაციის პროცესში მონაწილე მხარეებისათვის.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **ბუღალტრული აღრიცხვა** – სამეურნეო სუბიექტის სამეურნეო ოპერაციების ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის, დაჯგუფებისა და გადაცემის სისტემა ფულად გამოსახულებაში.

<p>”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19</p>	<p>დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1</p>	<p>ვერსია №1</p>
<p>დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები</p>		<p>ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 4 45</p>
<p>მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე</p>		

2. **ბუღალტერი** – ფიზიკური პირი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან/და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას.
3. **ფინანსური ანგარიშგება** – სამეურნეო სუბიექტის მდგომარეობის და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურირებული ასახვა.
4. **კანდიდატი (სერტიფიკატის მაძიებელი)** – განმცხადებელი, რომელიც გარკვეულ წინასწარ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და რომელსაც სერტიფიკაციის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცა.
5. **სერტიფიკაციის ორგანო** – საქართველოს ეროვნული აკრედიტაციის ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული იურიდიული პირი, ან მისი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც წინამდებარე სქემით ახორციელებს ფიზიკური პირების სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრებად სერტიფიცირების და სერტიფიკაციის პირობებთან მათი საქმიანობის შესაბამისობის ზედამხედველობას.
6. **სერტიფიკატი** – დადგენილი ნიმუშის დოკუმენტი, რომელიც გაიცემა პირის პროფესიული კვალიფიკაციის დასადასტურებლად. ამასთან, ადგენს პროფესიული საქმიანობის ხანგრძლივობასა და სფეროს.
7. **სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი** – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების მოთხოვნების (სტანდარტის) შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS).
8. **სერტიფიცირება** – სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიკაციის პროცესის საფუძველზე სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის აღიარება.

<p>”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19</p>	<p>დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1</p>	<p>ვერსია №1</p>
<p>დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები</p>		<p>ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 5 45</p>
<p>მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე</p>		

9. **სერტიფიკაციის პროცესი** - მთელი ის საქმიანობა, რომლის მეშვეობითაც სერტიფიკაციის ორგანო ადგენს, რომ პიროვნება კომპეტენტურობის გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, განაცხადის, შეფასების, სერტიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, ზედამხედველობის, სერტიფიკაციის გაგრძელებისა და სერტიფიკატების გამოყენების ჩათვლით.
10. **სერტიფიკაციის სქემა** - სერტიფიკაციის გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც პირთა კონკრეტულ კატეგორიებს ეხება და რომლებზეც ერთი და იგივე სტანდარტები და წესები, აგრეთვე ერთი და იგივე პროცედურები ვრცელდება.
11. **სერტიფიკაციის სისტემა** - სერტიფიკაციის სქემის შესაბამისად, სერტიფიკაციის პროცესის ჩასატარებელი პროცედურებისა და რესურსების ერთობლიობა, რასაც სერტიფიკატის გაცემამდე მიყვავართ, მისი შენარჩუნების ჩათვლით.
12. **რეესტრი** – სერტიფიკატის გაცემის, გაუქმების, მოქმედების შეჩერების და განახლების, ვადის გაგრძელების და მისი დუბლიკატის (დაკარგვის, განადგურების შემთხვევაში) გაცემის შესახებ ინფორმაციის ერთობლიობა.
13. **სერტიფიკაციის პროგრამაში მონაწილეობის საფასური** – თანხა, რომელიც სერტიფიკაციის პროცესში მონაწილეობისათვის დადგენილია სერტიფიკაციის ორგანოს მიერ და რომელსაც იხდის კანდიდატი.
14. **სერტიფიკაციის პროგრამა** – სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ევროლირექტივებისა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) მოთხოვნათა გათვალისწინებით შემუშავებული და დამტკიცებული პროგრამა,

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 6 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

კანდიდატი პირის პროფესიული (თეორიული) ცოდნის დონისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების და გამოცდილების დასადასტურებლად.

15. **კომპეტენტურობა** - ცოდნის ან ჩვევების და პირადი თვისებების გამოყენების დამტკიცებული უნარი.
16. **პროფესიული სერტიფიკაციის სტანდარტი** – სერტიფიცირებულ პირად აღიარებისათვის დადგენილი ნორმები, რომლებიც შეესაბამება ევროდირექტივებისა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES).
17. **შეფასება** - პროცესი, რომლის მიმდინარეობისას პიროვნების მიერ სქემის მოთხოვნათა შესრულება ფასდება, რასაც სერტიფიცირების საკითხის გადაჭრასთან მიყვავართ.
18. **კვალიფიკაცია** - პირადი თვისებების, განათლების, მომზადების ან მუშაობის გამოცდილების მტკიცებულება.
19. **საპროცედურო კომიტეტი** – სერტიფიკაციის ორგანოს წარმომადგენლობითი ერთეული, რომელშიც დაბალანსებულად არის წარმოდგენილი ყველა მხარის ინტერესები, რომლებიც სერტიფიკაციის სქემით არიან დაინტერესებულნი. საპროცედურო კომიტეტში შედიან ექსპერტები და სერტიფიკაციის ორგანოს თანამშრომლები.
20. **პრაქტიკა** – პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და ქცევის მანერების გამოსამუშავებლად და პროფესიონალი ბუღალტრის უნარ-ჩვევების სადემოსტრაციოდ საჭირო პრაქტიკული მუშაობის პერიოდი, რომელიც ჩვეულებრივ 3 წელს შეადგენს.
21. **ტესტი** – კითხვა, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შესაფასებლად, რომელსაც გააჩნია 4-6 სავარაუდო პასუხი, რომელთაგანაც სწორია მხოლოდ ერთი.

<p>”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №19</p>	<p>დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1</p>	<p>ვერსია №1</p>
<p>დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები</p>		<p>ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 7 45</p>
<p>მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე</p>		

22. განგრძობითი განათლება (სწავლება) – სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული პირის კვალიფიკაციისა და სტატუსის შენარჩუნებისათვის დადგენილი ნორმები;

23. პროფილი – კანდიდატად რეგისტრირებისათვის, სერტიფიცირების მსურველ პირის მიერ დაკავებული თანამდებობა. კერძოდ: ბუღალტერი, აუდიტორი, აუდიტორის ასისტენტი, ფინანსისტი, ფინანსური მენეჯერი, ეკონომისტი და სხვა.

24. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა – მიდგომა განგრძობითი სწავლების კონტექსტში, რომელიც ადგენს სწავლების დონისძიებების განსაზღვრულ მოცულობას, რომელიც განიხილება კომპეტენტურობის სათანადოდ განმავითარებლად და შესანარჩუნებლად.

25. შედეგზე დაფუძნებული მიდგომა – მიდგომა განგრძობითი სწავლების კონტექსტში, რომელიც სერტიფიცირებული პირისაგან (პროფესიონალი ბუღალტრისაგან) მოითხოვს შედეგის მიხედვით დემონსტრირებას, რომ ის ივითარებს და ინარჩუნებს პროფესიულ კომპეტენტურობას.

მუხლი 3. სერტიფიკაციის პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმები და მოთხოვნები

- სერტიფიკაციის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ პირებს (კანდიდატებს), რომლებსაც :
 - ✓ აქვთ უმაღლესი ეკონომიკური ან უმაღლესი პროფესიული განათლება (ნებისმიერი პროფილით), ან სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში ბაკალავრიატის მესამე ან დამამთავრებელ კურსზე.
 - ✓ აღიარებს სერტიფიკაციის ორგანოს მიერ დამტკიცებულ სერტიფიკაციის სქემას.

<p>”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19</p>	<p>დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1</p>	<p>ვერსია №1</p>
<p>დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები</p>		<p>ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 8 45</p>
<p>მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე</p>		

2. სერტიფიკაციის პროგრამაში მონაწილეობისათვის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი (იხ. დანართი 1) და თან დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:
 - ✓ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი, ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან;
 - ✓ ინფორმაცია განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ, არანაკლებ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ✓ ორი დაბეჭდილი ფერადი ფოტოსურათი (3X4) და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია/CD დისკზე.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასალების განხილვისა და მისი შესაბამისობის (სისრულის) დადასტურების შემდეგ, კანდიდატი ეცნობა სერტიფიკაციის სქემას და თუ ეთანხმება მის პირობებს, იხდის და სერტიფიკაციის ორგანოში წარმოადგენს სერტიფიკაციის პროგრამაში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რის შემდეგაც ხდება კანდიდატის ჩართვა სერტიფიკაციის პროგრამაში.

4. სერტიფიკაციის ორგანო, კანდიდატებს გამოცდების დროსა და ადგილს ატყობინებს არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე გამოცდების ჩატარებამდე (იხ. დანართი 2).

5. სერტიფიკაციაში მონაწილეობა ფასიანია. სერტიფიკაციის პროგრამაში მონაწილეობის საფასურის ოდენობას ადგენს სერტიფიკაციის ორგანო.

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება № დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 9 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

მუხლი 4. სერტიფიკაციის პირობები

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

პროფესიონალ ბუღალტრად აღიარებამდე, კანდიდატმა უნდა შეასრულოს განათლების სტანდარტების მოთხოვნები და მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ იმსახურებს პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციას.

კანდიდატს მოეთხოვება აჩვენოს, რომ გააჩნია:

- ✓ ზოგადი განათლება, რომლის გარეშე შეუძლებელია ბუღალტრის ჰქონდეს ფართო თვალსაწიერი, უნარი იმისა, რომ ეფექტურად იაზროვნოს და ჩამოაყალიბოს თავისი აზრი, შესძლოს აბსტრაქტული, ლოგიკური მსჯელობა და კრიტიკული ანალიზი;
- ✓ ორგანიზაციულ-სამეურნეო განათლება, რომელიც ბუღალტრს ცოდნას აძლევს ბიზნესის, მართვის, მარკეტინგის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, უნვითარებს კომუნიკაციისა და ურთიერთობის უნარ-ჩვევებს;
- ✓ განათლება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც ბუღალტრს უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენების ცოდნითა და უნარ-ჩვევებით;
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვისა და მომიჯნავე დისციპლინების ცოდნა, რომელიც პროფესიონალი ბუღალტრის წარმატებული კარიერისათვის აუცილებელი პირობაა;
- ✓ კავშირ-ურთიერთობის ჩვევა, რომელიც დაეხმარება სხვა მომუშავეებთან თანამშრომლობაში.

პროფესიული ფასეულობების თვალსაზრისით კანდიდატს მოეთხოვება:

- ✓ იყოს პატიოსანი, ობიექტური და დამოუკიდებელი;

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება № დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 10 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

- ✓ ემორჩილებოდეს შესაბამის პროფესიულ ნორმებს;
- ✓ აღიარებდეს და იცავდეს ეთიკის კოდექსს;
- ✓ მუდმივად ზრუნავდეს კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

2. საგამოცდო დისციპლინები:

სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატი სერტიფიცირების გამოცდებს აბარებს განათლების სტანდარტებით და ევროდირექტივებით განსაზღვრული დისციპლინების მიხედვით მომზადებული გამოცდების საფუძველზე. გამოცდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4-ს.

სერტიფიკაციის საგამოცდო პროგრამებს შეიმუშავებს (საჭიროებისდა მიხედვით განაახლებს) და ამტკიცებს სერტიფიკაციის ორგანო საპროცედურო კომიტეტთან შეთანხმებით.

3. გამოცდების ჩატარება

გამოცდების ჩასატარებლად სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელი ქმნის საგამოცდო კომისიას, ან ნიშნავს კონკრეტულ პირს გამოცდების ჩასატარებლად. საჭიროების შემთხვევაში, სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელს აქვს უფლება მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტ(ებ)ი გამოცდების ჩასატარებლად. უფლებამოსილი პირები, რომლებიც ატარებენ გამოცდებს, დამოუკიდებელი უნდა იყვნენ პროგრამაში მონაწილე კანდიდატებისაგან, რაც მათ შორის გულისხმობს იმასაც, რომ მათ მონაწილეობა არ უნდა ჰქონდეთ მიღებული კანდიდატების გამოცდებისათვის სწავლება-მომზადებასა და კონსულტირებაში.

გამოცდის ტესტი/ბილეთი შედგება 80-100 კითხვისაგან, რომელიც მოიცავს ტესტებს შესაბამისი სასერტიფიკაციო დისციპლინებიდან. თითოეული ტესტი/კითხვა, მისი დადებითად გადაწყვეტისას, ფასდება 1 (ერთი) ქულით, წინააღმდეგ შემთხვევაში ტესტი/კითხვა ფასდება 0 (ნული) ქულით. ტესტების შედეგების შეჯამების საფუძველზე ხდება საბოლოო შეფასების-გამოცდის ქულის გამოყვანა. თუ კანდიდატი გამოცდაზე მოაგროვებს 50 (ორმოცდაათი) და მეტ ქულას, ისე, რომ დადებითად იქნება გადაწყვეტილი ტესტში შემავალი თითოეული

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 11 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

საგამოცდო დისციპლინის საკითხების 50% მაინც, ტესტური გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება.

საგამოცდო დროის ხანგრძლივობა 4 (ოთხი) ასტრონომიული საათია.

საპატიო მიზეზით, ან მის გარეშე გამოცდაზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კანდიდატს შეუძლია დამატებით, ერთხელ გამოცხადდეს მომდევნო გამოცდაზე.

კანდიდატები, რომლებიც დაარღვევენ გამოცდაზე ქცევის წესებს, შეცდომაში შეიყვანენ სერტიფიცირების ორგანოს და შეეცდებიან მიიღონ გარე ან სხვაგვარი დახმარება გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად, მოიხსნებიან გამოცდიდან და გაირიცხებიან სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობიდან.

გამოცდა მიმდინარეობს შემდეგი პროცედურების დაცვით:

- ✓ საგამოცდო კომისიას, გამოცდის დაწყებამდე 30 წთ-ით ადრე გადაეცემა დალუქული, გამოცდის მასალები/ტესტები. თითოეული დალუქული პაკეტი შეიცავს: 1) ტესტების რვეულს, 2) სამუშაო რვეულს და 3) პასუხის რვეულს (იხ. დანართი 3);
- ✓ საგამოცდო ოთახში/დარბაზში დასაშვებად, კანდიდატი ხელმოწერით კანდიდატთა სარეგისტრაციო რეესტრში (იხ. დანართი 4) დაადასტურებს გამოცდაზე გამოცხადების ფაქტს და შეირჩევს ადგილის ბარათს, რომელზეც მითითებული რიგითი ნომრის შესაბამისად დაიკავენ სამუშაო ადგილს საგამოცდო ოთახში/დარბაზში;
- ✓ საგამოცდო ოთახში/დარბაზში დაშვების შეწყვეტის შემდეგ, კანდიდატებს ურიგდებათ “გამოცდაზე ქცევის წესები”, რომელსაც ისინი ეცნობიან და აღნიშნულს ადასტურებენ ქცევის წესებზე ხელმოწერით. “ტესტურ გამოცდაზე ქცევის

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 12 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

წესები” წარმოდგენილია №5 დანართის სახით და სერტიფიკაციის სქემის განუყოფელი ნაწილია;

- ✓ “გამოცდაზე ქცევის წესების” კანდიდატების მიერ გაცნობა-ხელმოწერისა და უკან დაბრუნების შემდეგ, კანდიდატებს ეკითხებათ “ინსტრუქცია დახურული წიგნით ჩასატარებელი გამოცდის შესახებ” (იხ. დანართი 6).
- ✓ ინსტრუქციის გაცნობისას, კანდიდატებს ურიგდებთ დალუქულ კონვერტში ერთად მოთავსებული: 1) ტესტების რეგული, 2) სამუშაო რეგული და 3) პასუხების რეგული, აგრეთვე თითოეული კანდიდატისათვის მომზადებული “საგამოცდო ბარათი”, რომელშიც მითითებულია ინდივიდუალური ერთჯერადი კოდი;
- ✓ დალუქული კონვერტების დარიგებისა და ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ, კანდიდატებს ეძლევათ უფლება გახსნან კონვერტი, მიუთითონ ტესტების რეგულის, სამუშაო რეგულისა და პასუხების რეგულის შესაბამის ველში ინდივიდუალური ერთჯერადი საიდენტიფიკაციო კოდი და დაიწყონ მუშაობა. ამ მომენტიდან იწყება საგამოცდო დროის ათვლა (4 ასტრონომიული საათი);
- ✓ სამუშაო დროის ამოწურვის შემდეგ, თითოეული კანდიდატის ნამუშევარი, მისი თანდასწრებით ილუქება კონვერტში, რასაც კანდიდატი ადასტურებს კონვერტის “დაწებების” ადგილზე ხელმოწერით. კონვერტში ილუქება ნამუშევარი: 1) ტესტების რეგული, 2) სამუშაო რეგული და 3) პასუხების რეგული; აგრეთვე “საგამოცდო ბარათი”;
- ✓ ნამუშევარი, დალუქული კონვერტები საგამოცდო კომისიის მიერ ბარდება სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელს (იხ. დანართი 7), რომელიც ნამუშევრებს (პასუხების რეგულებს, ტესტების

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 13 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

სწორ პასუხებთან ერთად) გასასწორებლად უგზავნის ექსპერტებს (იხ. დანართი 8);

- ✓ ექსპერტების მიერ გასწორებული სამუშაოები უბრუნდება სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელს, რომელიც ამტკიცებს შედეგებს, ადგენს ტესტური გამოცდის შედეგების რე-ესტრს (იხ. დანართი 9) და შედეგების შესახებ შეტყობინებას უგზავნის კან-დიდატებს (იხ. დანართი 10);
- ✓ ტესტირების გამოცდის შედეგების გაცნობის შემდეგ, კან-დიდატის მოთხოვნის შემთხვევაში, სერტიფიკაციის ორგანო ვალდებულია გააცნოს მას ტესტში არსებული შეცდომები და სწორი პასუხები მათზე.

4. პროფესიულ პრაქტიკასთან და გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, სტაჟირება.

კანდიდატებმა უნდა მოახდინონ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის უნარ-ჩვევების დემონსტრირება. კანდიდატების მიერ პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მანერების გამოსამუშავებლად, როგორც წესი მიჩნეულია სამწლიანი მუშაობის გამოცდილება მთავარი ბუღალტრის, აუდიტორის, ან ფინანსური მენეჯერის თანამდებობაზე.

პროფესიული გამოცდილება და უნარ-ჩვევები კანდიდატმა შეიძლება შეიძინოს როგორც სერტიფიკაციამდე, ისე სერტიფიკაციის პროცესში და მას შემდეგაც.

კანდიდატი, რომელიც არ მუშაობს მთავარი ბუღალტრის, აუდიტორის, ან ფინანსური მენეჯერის თანამდებობაზე, ვალდებულია გაფორმდეს სტაჟიორად და გაიაროს მინიმუმ ერთ წლიანი სტაჟირება ხელმძღვანელის მეთვალყურეობით.

სერტიფიკაციის ორგანო, კანდიდატს ”ბას“-ის განათლებისა და სერტიფიკაციის კომიტეტის რეკომენდაციით ეხმარება სტაჟირების ობიექტისა და ხელმძღვანელის შერჩევაში. ხელმძღვანელი უნდა იყოს გამოცდილი, ავტორიტეტული სპეციალისტი.

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 14 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

სტაჟირების დასრულების შემდეგ, კანდიდატი ადგენს ანგარიშს (რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ხელმძღვანელი) და წარუდგენს სერტიფიკაციის ორგანოს განსახილველად. სერტიფიკაციის ორგანო, მოწვეული ექსპერტების საშუალებით აფასებს ანგარიშს და იღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას კანდიდატის პროფესიული პრაქტიკისა და გამოცდილების დონის შესაფერისობის შესახებ.

5. საბოლოო შეფასება და აღიარება.

სერტიფიკაციის ბოლო ეტაპზე ხდება კანდიდატის მიერ მიღწეული შედეგების საბოლოო შეფასება, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს იმის დადასტურება, რომ კანდიდატს გააჩნია/შეიძინა სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის შესაბამისი პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარი და აკმაყოფილებს პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მოთხოვნებს.

კანდიდატს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარი და აკმაყოფილებს პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მოთხოვნებს, მიენიჭება სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება დადგენილი ნიმუშის სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატის გაცემით.

საბოლოო შეფასება და აღიარება მიმდინარეობს შემდეგი პროცედურების დაცვით:

- ✓ კანდიდატი, შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნით მიმართავს სერტიფიკაციის ორგანოს;
- ✓ სერტიფიკაციის ორგანო, კანდიდატის შესახებ მასთან არსებული ინფორმაციის გაანალიზებისა და განხილვის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატისათვის საძიებელი კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, რომელიც ფორმდება სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 5. სერტიფიკატის გაცემა და ვადა. განმეორებითი სერტიფიკაცია

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 15 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

1. კანდიდატის სერტიფიკაციის პროცესის ყველა ეტაპზე მიღწეული შედეგი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საპროცედურო კომიტეტს.

სერტიფიკაციის პროცესის ყველა ეტაპის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, კანდიდატზე გაიცემა დადგენილი ნიმუშის სერტიფიკატი, რომელსაც ხელს აწერს სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელი და ადასტურებს სერტიფიკაციის ორგანოს ბეჭდით.

გაცემული სერტიფიკატი რეგისტრირდება რეესტრში. მის შენახვაზე პასუხისმგებელია სერტიფიცირებული პირი. სერტიფიკატის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, სერტიფიცირებული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ სერტიფიკაციის ორგანოს. დაკარგული ან განადგურებული სერტიფიკატის სანაცვლოდ გაიცემა მისი დუბლიკატი. დუბლიკატი გაიცემა ორიგინალის გასაცემად დადგენილი წესების შესაბამისად.

2. სერტიფიკატი მოქმედებს 3 წლით. ამასთან, თუ სერტიფიკატის მფლობელი ყოველწლიურად გაივლის სავალდებულო, მინიმუმ 12 საათიან განგრძობითი სწავლების კურსს (დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა), ან შედეგზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში მოახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ინვითარებს და ინარჩუნებს პროფესიულ კომპეტენტურობას და სერტიფიცირების ორგანოს წარუდგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს, მოქმედი 3 წლიანი ვადის გასვლამდე, სერტიფიკაციის ორგანო ავტომატურად, სერტიფიკატის მოქმედების 3 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, განმეორებითი სერტიფიცირების გარეშე, ახალი 3 წლიანი ვადით გასცემს ახალ სერტიფიკატს პირზე იმავე სარეგისტრაციო ნომრით.

განგრძობითი სწავლებისა და განმეორებითი სერტიფიკაციის მიზანია განათლების სტანდარტების (IES) მოთხოვნების დაკმაყოფილება - სერტიფიცირებული პირების უწყვეტი მომზადების უზრუნველყოფა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება № დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 16 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

ყოველწლიური განგრძობითი სწავლების კურსის გაუვლელობა (დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა), ან შედეგზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნების დაუდასტურებლობა და შესაბამისი დოკუმენტის წარუდგენლობა სერტიფიკაციის ორგანოში, ავტო-მატურად იწვევს სერტიფიკატის გაუქმებას და განმეორებითი სერტიფიცირების ვალდებულებას.

მუხლი 6. სერტიფიცირებულ პირთა პასუხისმგებლობა

1. პასუხისმგებლობა სერტიფიცირებულ პირს ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ ის დააღვევს პროფესიული ეთიკისა და საქმიანობის სტანდარტებს, დროულად არ აღმოფხვრის თანხმობის დოკუმენტის (იხ. დანართი 11) ან/და იმ დარღვევებს, რომლებიც გამოვლინდა საზედამხედველო საქმიანობის (ხარისხის კონტროლ-ლის) ფარგლებში.
2. პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას შეიძლება საფუძვლად დაედოს:
 - ✓ ხარისხის კონტროლის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები.
 - ✓ დამკვეთის (დავალების მიმცემის) განცხადება ან საჩივარი.
 - ✓ სახელმწიფო და კერძო სამართლის სუბიექტების განცხადება ან საჩივარი.
 - ✓ დამქირავებლის განცხადება ან საჩივარი;
 - ✓ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის სამუშაოს მომხმარებელთა განცხადება ან საჩივარი;
 - ✓ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია.

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 17 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

3. განცხადება ან საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ქართულ ენაზე და შეიცავდეს:
 - ✓ გამცხადებლის ან მომჩივანის ვინაობას;
 - ✓ სერტიფიცირებული პირის ვინაობას, რომელსაც ეხება განცხადება ან საჩივარი;
 - ✓ განცხადების ან საჩივრის არსსა და მოთხოვნას;
 - ✓ სხვა არსებით გარემოებებს.

4. პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის საფუძველზე, სერტიფიცირებულ პირს შესაბამისად, შეიძლება დაეკისროს ქვემოთ ჩამოთვლილი დისციპლინარული პასუხისმგებლობებიდან ერთ-ერთი:
 - ✓ მითითება;
 - ✓ შენიშვნა;
 - ✓ გაფრთხილება;
 - ✓ საყვედური;
 - ✓ სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება და გამოქვეყნება;
 - ✓ სერტიფიკატის გაუქმება.

5. პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას და დისციპლინარული სასჯელის შეფარდებისას, მსედველობაში უნდა იქნეს მიღებული:
 - ✓ ჩადენილი დარღვევის სახე;
 - ✓ დარღვევის შედეგი;
 - ✓ დარღვევის მიზანი და მოტივი.

6. პროფესიული პასუხისმგებლობის შეფარდებისას, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში უნდა ეცნობოს სერტიფიცირებულ პირს, აგრეთვე განმცხადებელს ან მომჩივანს. ამასთან, უნდა განხორციელდეს შესაბამისი ჩანაწერი რეესტრში.

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 18 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

7. სერტიფიცირებული პირი, უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაასაჩივროს სერტიფიკაციის ორგანოს გადაწყვეტილება სასამართლოში.

მუხლი 7. რეესტრის წარმოება

1. სერტიფიცირებულ პირთა რეესტრს აწარმოებს სერტიფიკაციის ორგანო. სერტიფიკაციის ორგანო ვალდებულია გაცემული სერტიფიკატისა და მისი მფლობელის შესახებ მონაცემები რეესტრში შეიტანოს სერტიფიკატის გაცემიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

- ✓ მონაცემები სერტიფიკატის მფლობელის შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);
- ✓ სერტიფიკატის გაცემის თარიღი და ნომერი;
- ✓ მონაცემები იმ სამეურნეო სუბიექტის შესახებ, რომელშიც დასაქმებულია სერტიფიცირებული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი).

მუხლი 8. ზედამხედველობა (ხარისხის კონტროლი)

1. სერტიფიცირებული პირების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სერტიფიკაციის ორგანო მუდმივ საფუძველზე ახორციელებს მის მიერ სერტიფიცირებულ პირთა საქმიანობის ხარისხის კონტროლს.

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 19 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

ხარისხის კონტროლი შეიძლება განხორციელდეს სერტიფიცირებულ პირთა გამოკითხვის (სპეციალური ანკეტის საფუძველზე), ან ადგილზე ვიზიტის (გასვლითი შემოწმება) საფუძველზე.

გამოკითხვის ჩასატარებლად, სერტიფიკაციის ორგანო ადგენს კითხვარს და უგზავნის სერტიფიცირებულ პირს, რომელიც ავსებს კითხვარს და უბრუნებს სერტიფიკაციის ორგანოს დადგენილ ვადაში. სერტიფიცირებული პირის მიერ შევსებულ კითხვარს, აანალიზებს სერტიფიკაციის ორგანოს მიერ დანიშნული ექსპერტი (ხარისხის კონტროლის სისტემის შემმოწმებელი) და აკეთებს დასკვნას/ადგენს ანგარიშს მისი შესაბამისობის თაობაზე.

ვიზიტის (გასვლითი შემოწმება) გზით ხარისხის შემოწმება ხდება სერტიფიკაციის ორგანოს მიერ დანიშნული ექსპერტ(ებ)ის (ხარისხის კონტროლის სისტემის შემმოწმებლის) მიერ. ექსპერტ(ებ)ი მოქმედებს სერტიფიკაციის ორგანოს მიერ განსაზღვრული დავალების ფარგლებში, რომელიც ემყარება ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) მოთხოვნებს. ვიზიტისას უნდა შემოწმდეს:

- ✓ პროფესიული მომსახურების (აუდიტის ჩატარების) განხორციელების უფლებამოსილება;
- ✓ ხარისხის კონტროლის შიდა სტანდარტებისა და პროცედურების არსებობა;
- ✓ რამდენად ეფექტურად იყენებს სერტიფიცირებული პირი ხარისხის კონტროლის შიდა სტანდარტებსა და პროცედურებს;
- ✓ პროფესიული მომსახურების (აუდიტის ჩატარების) პრაქტიკული განხორციელების შესაბამისობა პროფესიულ (აუდიტის) საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ✓ განსაკუთრებით რთული საკითხების გადასაწყვეტად გარე დახმარების და კონსულტაციების გამოყენება;
- ✓ სხვა საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია იმის დასადასტურებლად, რომ უზრუნველყოფილია მომსახუ-

”ბას“-ის სერტიფიკაციის ორგანო მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ.№19	დოკუმენტის დასახელება: სერტიფიკაციის სქემა №1	ვერსია №1
დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ” MP-1 ” – სერტიფიკაციის სქემები		ცვლილება№ დანართის რაოდენობა: გვერდი/გვერდიდან 20 45
მდებარეობა დოკუმენტების იერარქიაში: მეორე დონე		

რეობის (სამუშაოს შესრულების) ხარისხის მოთხოვნილი დონე.

ვიზიტის (გასვლითი შემოწმების) შედეგებზე ექსპერტ(ებ)ი ადგენს ანგარიშს/დასკვნას შესაბამისობის თაობაზე.

საზედამხედველო საქმიანობის შედეგების საფუძველზე, სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია განუსაზღვროს სერტიფიცირებულ პირს კონკრეტული ვადა გამოვლენილი ხარვეზებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად და გააკონტროლოს მისი შესრულება.

საჭიროების შემთხვევაში, სერტიფიკაციის ორგანოს, ხარისხის კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით, შეუძლია სერტიფიცირებული პირის მიმართ გაატაროს წინამდებარე სქემის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინარული ზომები.

მუხლი 9. აპელაცია

